

გიორგი ნიქარიშვილი

ულტრამემარჯვენე
ექსტრემისტი ჯგუფების
შეკრებისა და მანიფესტაციის
მონიტორინგი საქართველოში

დემოკრატიის
კვლევის
ინსტიტუტი
(DRI)

თბილისი
2020

სარჩევი

შენიშვნა ტერმინოლოგიაზე	3
შესავალი	5
1 მეთოდოლოგია	6
2 არსებული ვითარების მიმოხილვა	8
3 სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და დისკრიმინაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო	9
3.1 სიძულვილით მოტივირებული დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსში	9
3.2 ანტიდისკრიმინაციული სამოქალაქო და ადმინისტრაციული ნორმატიული აქტები	10
3.3 ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფები და საქართველოს სტრატეგია ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ	12
3.4 სტატისტიკური მონაცემების დაზუსტების აუცილებლობა	14
4 მონიტორინგის შედეგები	15
4.1 2019 წლის 17 მაისის აქცია	17
4.2 „თბილისი პრაიდის“ და „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ გამართული აქციები	17
4.3 აზერბაიჯანისა და თურქეთის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები	20
4.4 კინოთეატრ „ამირანთან“ ჰომოფობიური ჯგუფების მიერ ორგანიზებული აქციები	21
4.5 დემონსტრაციები ევროპის საბჭოს კვირეულთან დაკავშირებით	23
5 დაკვირვების შედეგების შეჯამება და ძირითადი ტენდენციები	24
რეკომენდაციები	26



უნივერსალური ტერმინოლოგია

ტერმინთა მოცემული განმარტებები არ ატარებს უნივერსალურ ხასიათს და შემუშავებულია კონკრეტულად წინამდებარე გამოცემის მიზნებისთვის.

ულტრამემარჯვენე იდეოლოგია

იდეოლოგია, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს რასიზმს, ქსენოფობიას, მიზოგენიას, ანტისემიტიზმსა და ჰომოფობიას.

ულტრამემარჯვენე ჯგუფები

ჯგუფები, რომლებიც აღვივებენ ანტილიბერალურ და ანტიდასავლურ განწყობებს. გარდა ამისა, მათი რიტორიკა მკვეთრად ჰომოფობიური, ქსენოფობიური და ნაციონალისტურია.

ექსტრემიზმი

იდეათა ერთობლიობა, იდეოლოგია, რომელიც არ აღიარებს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს, მხარს უჭერს სიძულვილს, ძალადობას და შეუწყნარებლობას. საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ წყობას და კანონის უზენაესობას.

რადიკალიზაცია

პროცესი, როდესაც პირი საკუთარი მოსაზრებებისა და გარკვეული იდეოლოგიის მხარდაჭერისას შესაძლოა გასცდეს კანონის ფარგლებს და ჩაერთოს ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ საქმიანობაში. აღნიშნულ პროცესში იკვეთება პირის მზაობა მის მიერ მხარდაჭერილი იდეოლოგიის მიზნებისათვის დაეთანხმოს, ან/და მიმართოს ძალადობის მეთოდებს, საჭიროების შემთხვევაში.

ანტიდასავლური დისკურსი

ევროკავშირის, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის და დასავლური ქვეყნების მიმართ გამოხატული მკვეთრად ნეგატიური განწყობების გამოვლენა და ანალიზი.

ანტილიბერალური დისკურსი

ლიბერალიზმის დემონიზაციისა და ლიბერალური ღირებულებების დაკნინების ფაქტების გამოკვეთა და ანალიზი.

შესავალი

ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფები საქართველოში 2012 წლიდან გააქტიურდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი აქციის საპასუხოდ მობილიზებული ძალადობრივი ჯგუფების კონტრაქცია, რომელზეც აქციის მონაწილეებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ამ დღეს სახელმწიფომ ვერ შეძლო მშვიდობიანი დემონსტრაციების დაცვა და მოძალადეების სათანადოდ დასჯა.⁷ ამის შემდეგ საგრძნობლად გახშირდა ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების აქციები და დემონსტრაციები. შეკრებები გამოიჩინა მზარდი ძალადობით, ძალადობის მუქართა და რადიკალური ჯგუფების მიმართ სამართალდამცველთა შემწყნარებლური დამოკიდებულებით.

ადგილობრივი კონტექსტისა და პრობლემების გათვალისწინებით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა დაიწყო ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების, სოციალურ მედიაში მათ მიერ გავრცელებული ნარატივებისა და ამ ჯგუფების შეკრებებისა და დემონსტრაციების კვლევა.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრება-მანიფესტაციებზე დაკვირვების შედეგებს 2019 წლის მაისიდან 2020 წლის პირველი მარტის ჩათვლით. ამ პერიოდის განმავლობაში ორგანიზაციის დამკვირვებლები ულტრამემარჯვენე ჯგუფების 14 შეკრებას (მათ შორის, კონტრაქციებს) დააკვირდნენ. ანგარიშში გაანალიზებულია მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი ტენდენციები და გამოკვეთილია ძირითადი მიგნებები. ანგარიშის მიზანს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრევენცია, ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის ჯგუფების მიერ წევრთა რეკრუტირებისათვის ხელის შეშლა და მათი გაძლიერებით გამოწვეული საფრთხეების შესახებ საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს.

7 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 354, ხელმისაწვდომია <http://www.ombudsman.ge/geo/saparlamento-angarishebi>

1. მეთოდოლოგია

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დამკვირვებლები ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ თბილისის მასშტაბით ორგანიზებულ ყველა შეკრებას დააკვირდნენ. დაგეგმილი აქციების/კონტრაქციების შესახებ ინფორმაცია საჯარო წყაროებიდან ან სოციალური ქსელის საშუალებით ხდებოდა ცნობილი, რომელიც ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებისა და მათი ლიდერებისთვის ინფორმაციის გავრცელებისა და მხარდაჭერთა მობილიზაციისთვის ყველაზე მეტად გამოყენებად პლატფორმას წარმოადგენს.

დაკვირვების სანყის ეტაპზევე მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების მონიტორინგის შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა შევიმუშავეთ, რომლის დახმარებითაც აქციების/კონტრაქციების მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი ფაქტებისა და დარღვევების სისტემატიზაცია შევძელით.

პროექტის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ანალიზის პროცესში შემდეგი მეთოდოლოგია გამოვიყენეთ:

- სიტუაციური ანალიზი, რომელიც მოცემული კვლევის ფარგლებში გულისხმობს კონკრეტულ და მნიშვნელოვან მოვლენებზე დაყრდნობით, ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფების შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგს, ძირითადი ტენდენციების გამოვლენასა და ანალიზს
- შედარებითი ანალიზი, რაც მოცემული კვლევის ფარგლებში გულისხმობს საკანონმდებლო ნორმებისა და ულტრამემარჯვენე ფორმირებების მიერ ორგანიზებული მანიფესტაციების პრაქტიკული მხარეების ურთიერთ თავსებადობის დადგენას
- სტატისტიკური ანალიზი - საჯარო სტრუქტურებიდან გამოთხოვილი ინფორმაციისა და დამკვირვებელთა ანგარიშებში არსებული მონაცემების ხარისხობრივი ასახვა, ე.წ. აღწერითი სტატისტიკის წარმოება.

შეკრებების მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება გავამახვილეთ:

- ხომ არ იყენებდნენ ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები ან შეკრების მონაწილეები სიძულვილის ენას
- რამდენად უზრუნველყოფდა პოლიცია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას საჯარო შეკრებებისა და დემონსტრაციების მიმდინარეობისას

- ხდებოდა თუ არა პოლიციის მითითებებისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტების გამოვლენა
- ხომ არ ქონდა ადგილი კონკრეტული პირების ან ჯგუფების მისამართით ძალადობრივ მონოდებებს
- რამდენად იყვნენ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოები წინასწარ ინფორმირებულები შეკრება ორგანიზატორთა მიერ შეკრების/ მანიფესტაციის ფორმის, მიზნის, ადგილის, სვლის გეზის, დაწყებისა და დასრულების დროის თაობაზე.

მონიტორინგის ფარგლებში გავაანალიზეთ ულტრამემარჯვენე ჯგუფების საჯარო შეკრებებისა და მანიფესტაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან.

ანგარიშის მიზნებისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, პროკურატურიდან, სასამართლოდან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან და საქართველოს მთავრობიდან გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები.

2. არსებული ვითარების მიმოხილვა

საქართველოში ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და მოძრაობების სპექტრი მრავალფეროვანია. არსებული დაჯგუფებები საკუთარ თავში აერთიანებენ და მოიაზრებენ, როგორც სხვადასხვა ტიპის არაფორმალურ დაჯგუფებებს, ასევე, ფორმალური სახის ერთობებსაც - პოლიტიკური პარტიების სახით. გარდა ამისა, სოციალურ ქსელებში არსებობს ათეულობით არაფორმალური ჯგუფი. მათი ნაწილი დარეგისტრირებულია როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფები ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან, მათ ზოგადად აერთიანებთ აშკარა შეუწყნარებლობა ლგბტ თემის და მათი დამცველების მიმართ, ასევე, ანტილიბერალური და ანტიმიგრანტული რიტორიკა.

უკანასკნელ წლებში ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და მათ მხარდამჭერთა რაოდენობა ქართულ ონლაინ სივრცეში განსაკუთრებით გაიზარდა.⁸ აღნიშნული, მათ შორის, გამოიხატა სხვადასხვა დაჯგუფებების მიერ, აგრესიული და ძალადობრივი ხასიათის ქუჩის დემონსტრაციების ორგანიზებაში. არაფორმალური გაერთიანებები, როგორებიცაა „ქართული მარში“, „ქართული იდეა“ და „ქართული ძალა“ სოციალური მედიის მეშვეობით ახდენენ მხარდამჭერთა მობილიზებას, რომელთაც შემდგომ აგრესიული, ანტიმიგრანტული, ჰომოფობიური და ანტიდასავლური მესიჯების შემცველი აქციების ჩასატარებლად იყენებენ.⁹

ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერების ფონზე, არაერთხელ გამოითქვა კრიტიკა, რომ ხელისუფლება არაეფექტურად უპირისპირდება წარმოქმნილ პრობლემებს და არ გააჩნია რადიკალიზაციის პრევენციისაკენ მიმართული ეფექტური და სისტემური პოლიტიკა.

8 ს.მინესაშვილი, ულტრამემარჯვენე პოპულიზმის სოციალური საფუძვლები საქართველოში, 2019, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2KH0XJt>

9 ქართული ნეონაციზმის ანატომია, ხელმისაწვდომია <https://www.transparency.ge/ge/blog/kartuli-neonacizmis-anatomia>



3. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და დისკრიმინაციის მარცხულირებული საკანონმდებლო ჩარჩო

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საპატრიარქოს და ულტრამემარჯვენე ჯგუფების წინააღმდეგობის მიუხედავად, მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.“ სათანადო ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენდა.¹⁰

2010 წლიდან მოყოლებული, დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, არაერთი ცვლილება განხორციელდა საქართველოს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რაც, მიუხედავად არსებული ხარვეზებისა, დადებით შეფასებას იმსახურებს. გარდა ამისა, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობის უკეთ უზრუნველყოფისათვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა.

3.1. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსში

2012 წლის 27 მარტს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კანონმდებლობამ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად აღიარა.¹¹ შესაბამისად, დანაშაულის სიძულვილის მოტივით ჩადენა, ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას 53¹ მუხლზე მითითებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ იყენებს სიტყვა „სიძულვილს“ და მიკერძოების მოტივის აღსანიშნავად, შედარებით სუსტი ემოციის გამომხატველი სიტყვა „შეუწყნარებლობა“ გამოიყენება. სისხლის სამართლის კოდექსში ასევე არსებობს სპეციალური ნორმები, რომლებიც აღნიშნული მუხლისგან დამოუკიდებლად ვრცელდება (შეუწყნარებლობით) მოტივირებულ სხვადასხვა დანაშაულზე.¹²

10 სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, ბლოკი 4. სამოქმედო გეგმის არაოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე http://migration.commission.ge/files/savizo-liberalizaciis-samoqmedo-gegma_qartulad.pdf.
11 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 53¹.
12 მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 109(2)(დ), მუხლი 1261.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მიკერძოების ინდიკატორზე აგებული მოდელი გვხვდება, რომელიც მსხვერპლის კონკრეტული ჯგუფისადმი კუთვნილების გარდა, მოითხოვს დამატებით მტკიცებულებას, რომ ბრალდებულმა შეუწყნარებლობის მოტივით ჩაიდინა დანაშაული.¹³ ასევე, შესაძლებელია, მიკერძოების მოტივს თან ახლდეს დამატებითი მოტივები, მაგალითად, ანგარება.

სისხლის სამართლის კოდექსით ასევე დასჯადია სიტყვის თავისუფლების ხელყოფა,¹⁴ რელიგიური წესის აღსრულებისათვის ხელის შეშლა,¹⁵ შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ან და მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა.¹⁶

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთაღნიშნული უფლებების მიზანმიმართული დარღვევა სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალულია, აღნიშნული მუხლები მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიას, რომლის მომზადება არ არის დასჯადი, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა. შესაბამისად, შეუძლებელია ორგანიზატორის დასჯა ცალკეული პირის ან პირთა ჯგუფის უფლებების დარღვევისაკენ საჯარო მოწოდებისათვის. ჩვენ მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები მობილიზებას უკეთებენ მიმდევრების შეკრებას და ლიად მოუწოდებენ მხარდამჭერებს, შეზღუდონ მათთვის არასასურველ პირთა ჯგუფის უფლებები (მათ შორის, ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით). თუმცა, მხარდამჭერების მიერ ძალადობრივი ქმედებების ჩადენის შემდეგ, დაჯგუფების ლიდერები, როგორც წესი, „ემიჯნებიან ძალადობას“ და არ იღებენ პასუხისმგებლობას.

3.2. ანტიდისკრიმინაციული სამოქალაქო და ადმინისტრაციული ნორმატიული აქტები

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი ყველა დანესებულებას ავალდებულებს თავიანთი საქმიანობა აგრეთვე, სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, კანონს შეუსაბამონ და სწრაფი და სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე ეფექტური რეაგირება მოახდინონ.¹⁷ საქართველოს სახალხო

13 ანალოგიურ საკანონმდებლო კონსტრუქციას იზიარებს სერბეთის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 54a მუხლის თანახმად, „დანაშაულის ჩადენა პირის რასის, რელიგიის, ნაციონალური ან ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის შეუწყნარებლობის მოტივით, სასამართლოს მიერ მიიჩნევა დამამძიმებელ გარემოებად, თუ ეს არ არის კანონით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ელემენტი.“
 14 სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 153.
 15 სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 155.
 16 სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 161.
 17 „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4.

დამცველის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, 2019 წელი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი იყო. კერძოდ, „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებებით, კერძო სამართლის პირები საჯარო პირების მსგავს სამართლებრივ რეგულირებაში მოექცნენ. ასევე, სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა 3 თვიდან ერთ წლამდე გაიზარდა.¹⁸

გარდა ამისა, დისკრიმინაციული შინაარსის შემცველი მასალის მაუწყებლების ეთერში განთავსებას კრძალავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობა. კერძოდ, კანონით აკრძალულია ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ ნაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის. ასევე, ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ.¹⁹

თუმცა, დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის შემცველი ნაწარმოებების დამზადების, გავრცელებისა და ტირაჟირების აკრძალვა არ ვრცელდება ბექდურ პრესაზე და ონლაინ მედიაზე. საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“, რომელიც პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავრცელებას აწესრიგებს, 1991 წელსაა მიღებული, არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და ველარ უზრუნველყოფს სიტყვისა და აზრის თავისუფლების და, შესაბამისად, უსაფრთხო, დემოკრატიული და თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ტელე და რადიო მაუწყებლებისგან განსხვავებით, რომელთაც ეკრძალებათ დისკრიმინაციისა და სიძულვილის ენის შემცველი მასალების გავრცელება, ბექდური მედიის ნაწილი, ერთი მხრივ, სარგებლობს სიტყვის თავისუფლებით, ხოლო მეორე მხრივ, ავრცელებს სიძულვილის ენის შემცველ მასალას უმცირესობების და მიგრანტების შეუწყნარებლობის, მათი უფლებების შეზღუდვისა და სახელმწიფოში ავტორიტარული წყობის დამყარებისაკენ მონოღებით.²⁰

განსაკუთრებულ პრობლემად რჩება სიძულვილის ენის რეგულირება ონლაინ მედიაში. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები ხშირად არიან ონლაინ მედიის მთავარი და სასურველი რესპონდენტები. შესაბამისად, ონლაინ პლატფორმა ხელსაყრელი გარემოა მათი ქსენოფობიური, ჰომოფობიური და ანტილიბერალური გზავნილების გასავრცელებლად.²¹

18 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019, ხელმისაწვდომია <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020030416283364211.pdf>

19 „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 56-ე მუხლი.

20 იხ. გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2019 წლის 1-ელი ივლისის გამოცემა, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2xnwS0k>; 2019 წლის 17 ივნისის გამოცემა, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2Wd1o5D>; ასევე, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ 2019 წლის №03 (474) გამოცემა, ხელმისაწვდომია <http://geworld.ge/NEW/PDF/geworld-03-2019.pdf>

21 დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის და ნაციონალიზმის გააზრება და მისი წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგები (სექტემბერი-ნოემბერი) გვ. 9 ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/179>.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ საქართველოს შესახებ ანგარიშში²² აღნიშნა, რომ ქვეყანაში სიძულვილის ენის ონლაინ გამოვლინება კვლავ გამომწვევად რჩება. ანგარიშის მიხედვით, ქვეყანაში მოიმატა ონლაინ ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენამ.²³ აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ რეკომენდაცია გაუწია ქვეყანას, მოეხდინა კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რომელიც ეხება კომპიუტერული სისტემების მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის ქმედებების კრიმინალიზაციას.²⁴ რასისტულ და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენებასთან დაკავშირებით, კომისიის რეკომენდაცია ასევე იყო, შექმნას რასისტული შინაარსისა და ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის მონიტორინგის ქმედითი სისტემა.²⁵

ონლაინ მედია საშუალებებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლება და მასთან დაკავშირებული პირები არაერთხელ დაუდანაშაულებიათ ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფებისა და ლიდერების საჯარო თანხებით დაფინანსებაში, ან მათთვის სხვაგვარი პრივილეგიის მინიჭებაში,²⁶ რაც ახალისებს ულტრამემარჯვენე რადიკალური იდეოლოგიის ჯგუფებს და მათ ლიდერებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია კანონმდებლობით დარეგულირდეს რასიზმის ხელშემწყობი ნებისმიერი ორგანიზაციის ან მასთან დაკავშირებული პირებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის, მათ შორის, დაფინანსების დაუშვებლობა. გარდა ამისა, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს რასიზმის და რასობრივი დისკრიმინაციის ხელშემწყობი ორგანიზაციების დახურვის შესაძლებლობას, როგორც ეს რეკომენდებულია ECRI-ს ზოგადი პოლიტიკის №7 რეკომენდაციის მე-16 და მე-17 მუხლებში.²⁷

3.3. ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი ჯგუფები და საქართველოს სტრატეგია ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ

2019 წლის 23 იანვრის №53 განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია“

22 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, მოხსენება საქართველოს შესახებ, (მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს), ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/fourth-report-on-georgia-georgian-translation/16808b5775>

23 იქვე, გვ.21.

24 იქვე, გვ. 10.v25 იქვე, გვ. 18.

26 მაგალითად, მედია საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ულტრამემარჯვენე ლიდერს, და ჰომოფობიური ონლაინ მედია საშუალებების ალტ-ინფოს (Alt-Info) გუნდის დამფუძნებელს კონსტანტინე მორგოშას მცხეთაში მიწა სიმბოლურ თანხად (1 ლარად) გადაეცა. მასალა ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/TvMtavari/videos/481848536060950/UzpfSTE2MDU5NDYzOTc6Vks6NjMyNDg0ODk0MTY0OT>, ასევე, მსოფლიო საოჯახო კონგრესის წარმომადგენლის ლევან ვასაძისა და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის საერთო ქონების შესახებ, იხ. <https://www.facebook.com/watch/?v=534087663854352>.

27 ECRI GENERAL POLICY RECOMMENDATION No. 7 ON NATIONAL LEGISLATION TO COMBAT RACISM AND RACIAL DISCRIMINATION, §§ 16 and 17, ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/ecri-general-policy-recommendation-no-7-revised-on-national-legislatio/16808b5aae>.

2019 წლის 23 იანვრის №53 განკარგულებით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია“ და მისი 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტები საქართველოში ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ერთიანი ხედვის განსაზღვრის მიმართულებით პირველი მცდელობაა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. სტრატეგია აღიარებს, რომ საქართველოში მოქმედებენ ექსტრემისტული და რადიკალური იდეოლოგიის მხარდამჭერი ჯგუფები. დოკუმენტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მესამე სექტორის ჩართულობას. თუმცა, არსებული მდგომარეობით, რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ მიმართულ პროექტებში სამოქალაქო სექტორის ჩართულობა მინიმალურია. „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნულ სტრატეგიაში“ არ არის ასახული მითითებულ წრეებთან თუ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კონკრეტული ხედვა ან გზები. აღნიშნული, შესაძლებელია, განერილი იყოს სტრატეგიასთან ერთად შემუშავებულ 2019-2021 წლის სამოქმედო გეგმაში, რომელიც გასაიდუმლოებულია. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმაზე საჯარო წვდომის შეზღუდვა შეუძლებელია გამოწვეული იყოს სახელმწიფო ინტერესების დაცვის აუცილებლობით. მისი გასაიდუმლოება ასევე ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონს, რომლის თანახმადაც, ინფორმაციაზე საჯარო ხელმისაწვდომობის შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ აღნიშნული აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დაცვისათვის. მიუხედავად აღნიშნულისა, უფლებამოსილი სამთავრობო სტრუქტურებიდან ამ ეტაპზე არ იკვეთება მითითებული დოკუმენტის (ან მისი ნაწილის) განსაიდუმლოების მზაობა.²⁸

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა (ან მსგავსი შინაარსის მქონე ნორმატიული აქტი) საჯარო საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით.²⁹ საქართველოში აღნიშნული რესურსის არგამოყენება ულტრამემარჯვენე და სხვა რადიკალური იდეოლოგიებით მოქმედი გაერთიანებების გაძლიერებას იწვევს.

28 დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის 2019 წლის 18 სექტემბრის №20190918/09 წერილი; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 1 ოქტომბრის GOV 9 19 00038570 წერილი; დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის 2019 წლის 29 მაისის №20190529/02 წერილი; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის ალექსანდრე დარახველიძის 2019 წლის 5 ივნისის GOV 0 19 000 22893 წერილი; დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ამ ეტაპზე სასამართლოში აწარმოებს დავას საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ აღნიშნული დოკუმენტის სრული ან ნაწილობრივი განსაიდუმლოების მოთხოვნით.

29 მაგალითად იხ. ნორვეგიის სამოქმედო გეგმა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ: <https://www.counterextremism.org/resources/details/id/679/action-plan-against-radicalisation-and-violent-extremism>; დანიის სამოქმედო გეგმა ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისათვის: <http://uim.dk/publikationer/preventing-and-counteracting-extremism-and-radicalisation>; შვეიცარიის ეროვნული სამოქმედო გეგმა რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისათვის: <https://www.news.admin.ch/news/message/attachments/50703.pdf>; საფრანგეთის ეროვნული სამოქმედო გეგმა რადიკალიზაციის პრევენციისათვის: https://cache.media.eduscol.education.fr/file/Prevention_radicalisation/06/0/PNPR_2018-02-23-cipdr-radicalisation_905060.pdf და სხვა.

3.4. სტატისტიკური მონაცემების დაზუსტების აუდიტობლოგია

2016-2017 წლებში სიძულვილით (შეუწყნარებლობით) მოტივირებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, საქართველოს პროკურატურამ 44 პირის მიმართ დაიწყო დევნა, 2018 წელს აღნიშნული რიცხვი 151-მდე, ხოლო 2019 წელს 183-მდე გაიზარდა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე ხშირია გენდერის/სქესის და სექსუალური ორიენტაციის შეუწყნარებლობის ნიშნით დანაშაულის ჩადენა.³⁰

ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წელს დარეგისტრირებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაული თითქმის ორჯერ გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.³¹

აღნიშნულ ორგანოების მიერ წარმოებულ სტატისტიკას შორის შეუსაბამობებია. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების და არა სისხლის სამართლის დანაშაულის გარემოებათა (მათ შორის, მოტივის) მიხედვით.³² წარმოებულ სტატისტიკაშიც არასრულყოფილად არის ასახული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რაოდენობა. მიკერძოების მოტივით კვალიფიცირებული მუხლის მონაცემები, რიგ შემთხვევაში გაერთიანებულია სხვა მუხლებთან, რომლებიც შესაძლოა არც იყოს მიკერძოების მოტივისათვის რელევანტური.³³ უზენაესი სასამართლო არ აწარმოებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის აღრიცხვას, თუმცა, ცალკე მონაცემთა ბაზას აწარმოებს იმ საქმეებისათვის, რომლებშიც გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლი დამამძიმებელ გარემოებათა შესახებ.³⁴

შესაბამისად, მართალია, 2019 წლის მონაცემებით აღინიშნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რიცხვის ზრდა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს გენერალური პროკურატურის პოზიციით სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირების გაზრდილ მაჩვენებელთან არის დაკავშირებული,³⁵ მაგრამ, გაუგებარია თუ რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით გაკეთდა აღნიშნული დასკვნა. ვფიქრობთ, აუცილებელია სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურასა და სასამართლოს სტრუქტურებში, რაც დამატებითი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

30 საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ირაკლი ჩილინგარაშვილის 2020 წლის 17 მარტის №13/15450 წერილი.
 31 შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა იხ: <https://info.police.ge/page?id=115>; ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მონაცემების შეგროვების გაუმჯობესებისათვის მუშაობა მხოლოდ 2018 წლის სექტემბერში დაიწყო. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2Swzb8l>
 32 შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 9 19 01599910 წერილი.
 33 შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 9 19 01599910 წერილი.
 34 ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ, (მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს) გვ.23.
 35 საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს 2019 წლის ანალიზი, ხელმისაწვდომია <http://pog.gov.ge/news/adamianis-uflebaTa-dacvis-sammarTvelom-siZulviliT-motivirebul-danashaulebze-angarishi-moamzada>



4. მონიტორინგის შედეგები

პროექტის განმავლობაში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მონიტორები ულტრამემარჯვენე, რადიკალური ჯგუფების 14 აქცია/კონტრაქციას დააკვირდნენ. ყველა შეკრება ანტიმიგრანტულ, ჰომოფობიურ და ეთნონაციონალისტურ თემებთან დაკავშირებით გაიმართა. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ აქციებში ძირითადად მონაწილეობას იღებდნენ ჯგუფები, რომლის წევრებიც ატარებენ მსგავს ჩაცმულობას, გააჩნიათ ერთმანეთის ამოსაცნობი ნიშნები, გარკვეული სტრუქტურა და მოქმედების გეგმა. შესაბამისად, სახეზეა გარკვეული ჯგუფის ერთიანი და კოორდინირებული საქმიანობა ცალკეულ პირთა ორგანიზებითა და მონოდებით.

შეკრების მონაწილეების ძირითადი მოთხოვნები იყო: „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის გაუქმება, ე.წ. „გარყვნილების პროპაგანდის“ კანონით აკრძალვა, სახალხო დამცველის და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერება და საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მდებარე დავით-გარეჯის ტერიტორიაზე არსებული დავის გადაწყვეტა.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხარდამჭერთა განსაკუთრებული მობილიზაცია გამოიწვია ლგბტ თემის და მათი უფლება დამცველების საწინააღმდეგოდ ჩატარებულმა კონტრაქციებმა, რომელთა ძირითადი მიზანი იყო, არ დაეშვათ „თბილისი პრაიდის“ გუნდის მიერ საქართველოში პირველი ლგბტ პრაიდის ჩატარება. ასევე დიდი გამოხმაურება მოჰყვა კინოთეატრ „ამირანში“ ქვიარ თემატიკაზე შექმნილი ქართულ-შვედური ფილმის „და ჩვენ ვიცეკვით“ პრემიერას, რომლის ჩაშლის მიზნითაც ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა და მათმა ლიდერებმა მხარდამჭერთა მასშტაბური მობილიზაცია შეძლეს. შედარებით მცირერიცხოვანი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დავით გარეჯის სადავო ტერიტორიებზე არსებული დავის გადაჭრის მოთხოვნით გამართული აქცია და ბათუმში „მზარდი თურქული გავლენების“ წინააღმდეგ გამართული მსვლელობა.

შეკრებებს სოციალური ქსელებისა და მედიის სხვა საშუალებების გამოყენებით ძირითადად „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავჯდომარე გურამ ფალავანდიშვილი, ბიზნესმენი ლევან ვასაძე, ულტრანაციონალისტური დაჯგუფება „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე და „პრიმაკოვის ფონდის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ თავჯდომარე დიმიტრი ლორთქიფანიძე გეგმავდნენ. ჩვენს მიერ დაკვირვებულ თითქმის ყველა შეკრებაზე, გამომსვლელები აგრესიულობითა და სიძულვილის ენის შემცველი მონოდებებით გამოირჩეოდნენ.

ერთ-ერთ ძირითად ტენდენციად გამოიხატა შეკრებებსა და დემონსტრაციებში სასულიერო პირების მონაწილეობა, რომლებიც გამოსვლებში დასავლეთს „გარყვნილების პროპაგანდის მხარდამჭერად“ მოიხსენიებდნენ, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას - ქართველი ერის გენოციდად. 2019 წლის 8 ივლისის

აქციაზე, სასულიერო პირმა მხარდამჭერებს მოუწოდეს ფიზიკურად შეეშალათ ხელი ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილეებისთვის და ისინი პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორიიდან გაეყარათ (მიუხედავად იმისა, რომ რადიკალური ჯგუფები თავდაპირველად სრულიად სხვა მიზეზით შეიკრიბნენ). ერთ შემთხვევაში, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მონიტორმა დააფიქსირა სასულიერო პირის სატელეფონო საუბარი მრევლთან. საუბარი შეეხებოდა აქციაში მონაწილეობის მისაღებად რეგიონიდან ხალხის მობილიზაციას.

შეკრებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ რადიკალიზაციის გამაძლიერებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს საპატრიარქოს არათანმიმდევრული განცხადებები და მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ნაწილის აქტიურობა ულტრამემარჯვენე ჯგუფების შეკრებებზე. რიგ შემთხვევებში, საქართველოს საპატრიარქო არათუ არ ემიჯნებოდა, არამედ განცხადებებით ადასტურებდა ულტრამემარჯვენე ექსტრემისტული ჯგუფების ნარატივს. მაგალითად, 2019 წლის 6 ნოემბერს, ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ პრემიერის წინ, საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ - „ქვეყნის ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ მოქმედებენ გარკვეული ბოროტი ძალები, რომელთაც სურთ ხალხის ცნობიერების შეცვლა.“³⁶

მიუხედავად იმისა, რომ შეკრებათა უმრავლესობას სამართალდამცავი ორგანოს წამომადგენლები არეგულირებდნენ, თვალშისაცემი იყო მათი ხაზგასმით შემწყნარებლური დამოკიდებულება ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების მიერ ორგანიზებული შეკრებების მონაწილეთა მიმართ.

ჩვენი განსაკუთრებული ინტერესის საგანს პოლიციის მხრიდან ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ ორგანიზებული კონტრაქციების რეგულირება წარმოადგენდა. შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, კანონიერების, მიზანშეწონილობის, დისკრიმინაციის თავიდან აცილების პრინციპებზე დაყრდნობით გონივრული და საჭირო ზომები მიიღოს, რათა მონაწილეებს ფიზიკური ძალადობის შიშის გარეშე მიეცეთ მშვიდობიანი შეკრების გამართვის შესაძლებლობა.³⁷ პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს მშვიდობიანი შეკრების მონაწილეების დაცვას პირთა ჯგუფისაგან, რომელიც შეკრების ჩაშლას ან მისთვის ხელის შეშლას ცდილობს.³⁸ მართალია, ჩვენ მიერ განხორციელებული დაკვირვების პირობებში, სამართალდამცავები თითქმის ყოველი შეკრების წინ იღებდნენ გარკვეული ზომებს მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დასაცავად, მაგრამ, არ მომხდარა სათანადო რეაგირება ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების საჯარო განცხადებებზე, რომლებიც მხარდამჭერებს მათთვის არასასურველი პირების უფლებების შეზღუდვისაკენ მოუწოდებდნენ.³⁹

36 საქართველოს საპატრიარქოს 2019 წლის 6 ნოემბრის განცხადება იხ. <https://patriarchate.ge/news/2560>
 37 OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 2010, გვ. 19.
 38 იქვე, გვ. 36.
 39 ლევან ვასაძის განცხადება, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2StuEnz>.



საქართველოს კანონმდებლობით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას ძალადობის პროპაგანდა, ძალადობრივი მოწოდებები ან მუქარა დაუშვებელია.⁴⁰ თუ არსებობს რეალური საფრთხე, რომ პროტესტი ძალადობაში გადაიზრდება, სამართალდამცავებს უჩნდებათ ლეგიტიმური საფუძველი პროპორციული ზომების გამოყენებით აღკვეთონ ასეთი ქმედებები. ამის საპირისპიროდ, უშუალოდ შეკრებისას, ძალადობრივი ქმედებების აღკვეთისა და მოძალადე პირის/ჯგუფების მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების ნაცვლად, მშვიდობიან დემონსტრანტებსა და მოძალადე ჯგუფებს შორის წარმოქმნილი დაპირისპირებისას, სამართალდამცავები შემთხვევის ადგილიდან დაზარალებული მხარის განრიდებას ცდილობდნენ.⁴¹ მსგავსი მიდგომა მოძალადე ჯგუფებში დაუსჯელობის განცდას ქმნის და სამომავლო ძალადობას ახალისებს.

4.1. 2019 წლის 17 მაისის აქცია

2019 წლის 17 მაისს საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაგეგმილი ოჯახის სინმინდის დღის პარალელურად, თბილისში, მთავრობის კანცელარიასთან ჩატარდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქცია, რომელსაც „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავჯდომარე გურამ ფალავანდიშვილი ხელმძღვანელობდა. აქცია ერთი საათის განმავლობაში გაგრძელდა. გამომსვლელებმა ისაუბრეს იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც მათი აზრით, ლიბერალები და ლგბტ თემის წევრები წარმოადგენენ ქვეყნისთვის. აქციის ორგანიზატორებმა ასევე განაცხადეს, რომ იგეგმებოდა სპეციალური ჯგუფების შექმნა, რომლის წევრებსაც „საინფორმაციო და პოლიტიკური ბრძოლისთვის“ მოამზადებდნენ. შეკრებაზე ლგბტ თემის წევრებისა და მათი უფლებადამცველებისთვის შეკრების და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მოწოდებაც გაისმა.

4.2. “თბილისი პრაიდის“ და „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ გამართული აქციები

2019 წლის პირველ ნახევარში ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა 5 აქცია გაიმართეს მოთხოვნით - ხელისუფლებას არ დაეშვა „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებული საჯარო შეკრების ჩატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქციის ორგანიზატორები მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ ძალის გამოყენებით და საჯარო არეულობით იმუქრებოდნენ.⁴²

40 საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მუხლი 11.
41 კანცელარიის ტერიტორიიდან გიორგი თაბაგარი გაიყვანეს, პოლიციის თქმით, იგი არეულობას „განარიდეს“ ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3aZjQDW>
42 Tbilisi Pride-ის ჩატარების შემთხვევაში ლევან ვასაძე ხელისუფლებას მასობრივი არეულობით ემუქრება, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2yY44vT>; სანდრო ბრეგაძე: „თავის განირვა რომ მომინოს, ყველა წმინდა სალოცავს გეფიცებით, არ დაუშვებ გეი ალუმს“, ხელმისაწვდომია <http://tbi.ge/3u25>;

- 2019 წლის 14 ივნისს „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორების მიერ, საქართველოს საპატრიარქოს განცხადების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობის კანცელარიის წინ ჩატარებული აქციის კონტრაქცია ულტრამემარჯვენე ჯგუფების დაახლოებით 300-მდე მხარდამჭერის მონაწილეობით⁴³
- 2019 წლის 14 ივნისს ლევან ვასაძის მიერ ორგანიზებული აქცია, სადაც მან განაცხადა ლგბტ პირთა შეკრების შესაზღუდად გაერთიანების შექმნის თაობაზე, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში პოლიციასაც დაუპირისპირდებოდა
- 2019 წლის 8 ივლისის კონტრაქცია, როდესაც ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა სრული მობილიზაცია გამოაცხადეს, რათა ლგბტ თემის წარმომადგენლებისა და მათი მხარდამჭერებისათვის დაანონსებული „ღირსების მარშის“ ჩატარებაში ხელი ძალის გამოყენებით შეეშალათ.

ლგბტ თემისა და „თბილისი პრაიდის“ გუნდის წინააღმდეგ ჩატარებული აქციები ძალადობრივი ქმედებებითა და სიძულვილის ენის გამოყენებით გამოირჩეოდა. აქციებში 500-დან 2000-მდე პირი მონაწილეობდა, ძირითადად მამაკაცები. 14 ივნისის კონტრაქციაზე ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა აქციის მონაწილეებს ბურთები და ბოთლები დაუშინეს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „ლიბერალის“, „ნეტგაზეთის“ და „ტვ პირველის“ ჟურნალისტებს. მუქარისა და აგრესიის სამიზნე გახდა საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე, ასევე აქტივისტი ნატა ფერაძე, რომლის ფიზიკური განადგურებისკენაც ხალხს კონტრაქციის რამდენიმე მონაწილემ მოუწოდა.⁴⁴

შეკრების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორები უშედეგოდ აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან. 2019 წლის 31 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა საჯარო განცხადება, რომ „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორების მიერ დაგეგმილ ადგილებზე და დაგეგმილი ფორმატით ღონისძიებების ჩატარება შეუძლებელი იყო, პროცესში ჩართული პირების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით.⁴⁵

შინაგან საქმეთა სამინისტროს უარმა „თბილისი პრაიდის“ ჩატარებისათვის უსაფრთხოების ზომების მიღებაზე, მშვიდობიანი დემონსტრანტები ძალადობრივი ჯგუფების წინაშე დაუცველი დატოვა და ნაახალისა სამომავლო მართლსაწინააღმდეგო ქმედებები. მართალია, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობა, არ უნდა იქცეს არაპროპორციულ

43 14 ივნისის საპროტესტო აქციები, ხელმისაწვდომია, <https://bit.ly/3b0vlem>
 44 შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/12810>
 45 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 31 მაისის განცხადება, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/35wdg6T>



ან შესასრულებლად შეუძლებელ ვალდებულებად, თუმცა, მოგვიანებით, სხვა აქციების რეგულირების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ სახელმწიფოს გააჩნია რესურსი პროპორციული საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოს შეკრების მონაწილეთა დაცვა.

როდესაც ძალადობრივი კონტრდემონსტრაციის მოწყობის საფრთხე არსებობს, სახელმწიფოებს ფართო დისკრეცია ენიჭებათ.⁴⁶ თუმცა, ამავდროულად, თუ დაძაბულობის საფრთხე ყოველთვის იქნება შეკრების შეზღუდვის საფუძველი, საზოგადოებას არ ექნება განსხვავებული შეხედულების მოსმენის შესაძლებლობა ისეთ საკითხებზე, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის მეინსტრიმულ აზრთან.

მოცემულ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს უარმა, უზრუნველყოფის მარშის მონაწილეთა უსაფრთხოება ორგანიზატორების მიერ შერჩეულ ადგილებში, ლგბტ თემის მიმართ ძალადობრივი მესიჯები გააძლიერა. მაგალითად, ულტრამემარჯვენე ლიდერმა ლევან ვასაძემ განაცხადა, რომ ქმნიდა კომბლებით შეიარაღებულ გაერთიანებას, რომლის წევრებიც ქაშაშაშების გამოყენებით ხელეხსნენ შეუკრავდნენ აქციაში მონაწილე ლგბტ თემის წარმომადგენლებს და იძულებით დაატოვებინებდნენ ტერიტორიას. ხოლო, თუ პოლიცია მათ შეჩერებას შეეცდებოდა, პოლიციასაც კომბლებით დაუპირისპირდებოდნენ. აღნიშნულ განცხადებაზე, საქართველოს სსკ-ის 223-ე მუხლით დაწყებულ გამოძიებას (საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნათა დარღვევით) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს.⁴⁷ მიუხედავად საქმეზე არსებული არაერთი მტკიცებულებისა, შემავალი გადანაცვლებები ამ დრომდე არ არის მიღებული.

ლირსების მარშის დაანონსება და 8 ივლისის მოვლენები

მოვლენების განვითარებამ კულმინაციას მიაღწია 2019 წლის 8 ივლისს, როდესაც „თბილისის პრაიდის“ გუნდმა ე.წ. „ლირსების მარში“ ჩატარება დაანონსა.⁴⁸ აღნიშნულთან დაკავშირებით, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა („ქართული მარში“, „ქართული იდეა“ და სხვა) და მათმა ლიდერებმა⁴⁹ სრული მობილიზაცია გამოაცხადეს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდა ორი ფეისბუქ გვერდი „ანტი-პარადოქსი“ და „ნუ გამოლიბერალდები, იაზროვნე“, რომლებიც მკვეთრად აგრესიულ და ჰომოფობიური შინაარსის ნარატივებს ავრცელებდნენ.⁵⁰ „მსოფლიო საოჯახო კონგრესის“ ფეისბუქ გვერდზე 9-ჯერ გააზიარეს ლევან ვასაძის ჰომოფობიური და სიძულვილის ენის შემცველი ვიდეო მიმართვები, სადაც ის „თბილისის პრაიდის“ ჩატარებას გმობდა და მხარდამჭერებს მოუწოდებდა, საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენებით აღეკვეთათ აღნიშნული ღონისძიება.⁵¹

46 CASE OF FÁBER v. HUNGARY, Application no. 40721/08, 24 July 2012, para 42.
47 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 დეკემბრის MIA 6 19 03327358 წერილი
48 „ლირსების მარში“ 8 ივლისს გაიმართება, ხელმისაწვდომია <https://www.interpressnews.ge/ka/article/555066-tbilisipraidis-inpormaciit-girsebis-marshi-8-ivliss-gaimarteba/>
49 გურამ ფალავანდიშვილი, ლევან ვასაძე, სანდრო ბრეგაძე და დიმიტრი ლორთქიფანიძე.
50 DRI 2019 წლის სოციალური მედიის მონიტორინგის შედეგები (მაისი-აგვისტო), გვ. 11, ხელმისაწვდომია <http://www.democracypresearch.org/files/4DRI%20-%204%20vis%20angarishi.pdf>
51 იქვე, გვ.12

პროცესში საჯაროდ ჩაერთო არაერთი მართმადიდებელი სასულიერო პირი, რომელთაც ასევე მოუწოდეს ხალხს დილის 6 საათიდან ცენტრალურ ქუჩებზე პატრულირებისაკენ, რათა თავიდან აერიდებინათ ლგბტ თემის მიერ ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიება.

აქციის მიმდინარეობისას ნათელი გახდა, რომ ორგანიზატორთა ერთ-ერთ მიზანს ანტისაოკუპაციო აქციის მონაწილეთა შეკრებისათვის ხელის შეშლა წარმოადგენდა, რომლებიც პარლამენტის წინ მთელი კვირის განმავლობაში იკრიბებოდნენ.

ულტრამემარჯვენე ორგანიზატორების მოწოდებით, მათმა მომხრეებმა აღნიშნული ტერიტორია დაიკავეს.

აქციის მონაწილეები გამოირჩეოდნენ აგრესიულობით, ჰომოფობიური და სიძულვილის ენის შემცველი რიტორიკით. დემონსტრანტებმა ანტისაოკუპაციო აქციის ორგანიზატორს მიხეილ მშვილდაძეს ბოთლები ესროლეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. სიტუაცია განსაკუთრებით სალამოს 7 საათისთვის დაიძაბა, როდესაც პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ოკუპაციის საწინააღმდეგო აქციის მხარდამჭერები მომრავლდნენ. ორი პარალელური აქციის მონაწილეთა ერთმანეთისგან გასამიჯნად, მთელ პერიმეტრზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები იყვნენ მობილიზებული.

საქართველოს კანონმდებლობით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას ძალადობის პროპაგანდა, ძალადობრივი მოწოდებები ან მუქარა დაუშვებელია,⁵² თუ ძალადობის საფრთხე რეალურია, სამართალდამცავებს, პროპორციული ზომების გამოყენებით ძალადობრივი ქმედებების აღკვეთის ლეგიტიმური საფუძველი უჩნდებათ.

მოცემულ შემთხვევაში, აღსანიშნავია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა არასაკმარისად ეფექტური რეაგირება. მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქციის მონაწილეთა ქმედებები ძალადობრივი იყო, პოლიცია მხოლოდ მოძალადეების ტერიტორიიდან გაყვანით შემოიფარგლა.

4.3. აზერბაიჯანისა და თურქეთის წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები

განსხვავებული თემატიკით გამოირჩეოდა აქციები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებულ ტერიტორიულ პრობლემებსა და ბათუმში თურქეთის მზარდ გავლენაზე.

52 საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, მუხლი 11.



2019 წლის 23 ივლისს ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის გურამ ფალავანდიშვილის ორგანიზებით, საქართველოს მთავრობის კანცელარიის წინ მდებარე ტერიტორიაზე გაიმართა აქცია. მონაწილეებმა აზერბაიჯანთან დავით გარეჯის საკითხზე არსებული ტერიტორიული პრობლემების მოგვარება და აზერბაიჯანთან მიმდინარე მოლაპარაკებებში ერთ-ერთ წევრად მათი წარმომადგენლის ჩართვა მოითხოვეს.

2019 წლის 12 აგვისტოს ბათუმში, დიდგორობის აღსანიშნავად ორგანიზაციების - „მწვანე მომავალი საქართველოსთვის“, „ალტერნატივა საქართველოსთვის“ და „ალტინფოს“ გუნდის ძალისხმევით აქცია ჩატარდა. შეკრების ძირითად მიზნად დასახელდა საქართველოს ეკონომიკური დასუსტების პირობებში მისი ზოგიერთი მეზობლის ამბიციის ბათუმზე და თურქეთის დემოგრაფიული და ეკონომიკური გავლენის გაზრდა აჭარაზე.⁵³

შეკრებები მკვეთრად ანტითურქული, ანტიმიგრანტული და აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართული გზავნილებით გამოირჩეოდა. ამავდროულად, ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების შეკრება-დემონსტრაციებზე თითქმის არ დაფიქსირებულა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის საპროტესტო გზავნილები.

4.4. კინოთეატრ „ამირანთან“ ჰომოფობიური ჯგუფების მიერ ორგანიზებული აქციები

ულტრამემარჯვენე ჯგუფები კინოთეატრის „და ჩვენ ვისეკვეთ“ პრემიერას აპროტესტებენ

2019 წლის 8 ნოემბერს კინოთეატრ „ამირანთან“ გამართული ჰომოფობიური აქციის გაცხადებული მიზანი იყო ქვიარ თემატიკაზე შექმნილი ქართულ-შვედური ფილმის „და ჩვენ ვისეკვეთ“ პრემიერის ჩაშლა, მათ შორის, ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით, რამაც დასაწყისშივე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა შეკრების ლეგიტიმური ხასიათი.

ძალადობრივი განცხადებების საპასუხოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წლის ნოემბერს გაავრცელა განცხადება, რომ ის უზრუნველყოფდა, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვას, ასევე, თითოეული ადამიანის გამონატვის თავისუფლებას, რომელიც არ გასცდებოდა კანონით დასაშვებ ფარგლებს.⁵⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლით (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფ-

53 იხ. <https://www.youtube.com/watch?v=OxS11wcWe8Y>
54 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 8 ნოემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/13117>

ლება) დაცული მშვიდობიანი შეკრების უფლება არ მოიცავს ისეთ შეკრებებს, რომელთა ორგანიზატორებს ან მონაწილეებს ძალადობის განზრახვა გააჩნიათ.⁵⁵ შეკრება მშვიდობიანია, თუ მის ორგანიზატორებს მშვიდობიანი მიზნები გააჩნიათ და შეკრება არ არის ძალადობრივი.⁵⁶

მოცემულ შემთხვევაში, როდესაც შეკრების ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა წინასწარ განაცხადეს ფილმის ჩვენების ძალის გამოყენებით ჩაშლის თაობაზე, ხოლო ხოლო უშუალოდ აქციის პროცესში არაერთხელ შეეცადნენ კინოთეატრში შეჭრას, გამოიყენეს პიროტექნიკა დაფიზიკურად დაუპირისპირდნენ ადგილზე მისულ სამოქალაქო აქტივისტებს⁵⁷, აქცია გასცდა მშვიდობიანი შეკრების ფარგლებს და ძალადობრივი ხასიათი მიიღო. აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოიალური განცხადება, ძალადობრივი ჯგუფების გამოსატყვის თავისუფლების უზრუნველყოფაზე, თავიდანვე გასცდა საქართველოს კანონმდებლობით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს.

შუადღისას ულტრამემარჯვენე ჯგუფები და მათი მხარდამჭერები გურამ ფალავანდიშვილის, ბიზნესმენ ლევან ვასაძის, „ქართული მარშის“ ლიდერის სანდრო ბრეგაძისა და „პრიმაკოვის ფონდის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ თავჯდომარის დიმიტრი ლორთქიფანიძის ორგანიზებით „ვერის პარკში“ შეიკრიბნენ, საიდანაც კინოთეატრ „ამირანის“ წინ მდებარე ტერიტორიაზე გადაინაცვლეს.

აქციაზე აქტიურობდნენ სასულიერო პირები, რომლებიც პოლიციელებს მოუწოდებდნენ, არ დაეცვათ „გარყვნილების პროპაგანდის“ მხარდამჭერები. კინოთეატრში შეჭრის მიზნით, დემონსტრანტები სხვადასხვა საგნებსა და პიროტექნიკას ისროდნენ და პოლიციის კორდონის გარღვევას ცდილობდნენ. ძალადობრივი აქციის მონაწილეები არ ემორჩილებოდნენ პოლიციის მითითებებს. დემონსტრანტების მიერ ნასროლი პიროტექნიკით დაშავდა ერთი სამართალდამცავი.

ძალადობრივი აქციის მონაწილეებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს დავით ბერძენიშვილს, ფიზიკური დაზიანება მიიღო სამოქალაქო აქტივისტმა ანა სუბელიანმა, რომელსაც სახის არეში დემონსტრანტების ნასროლი ბასრი საგანი მოხვდა. აგრესიის სამიზნე ასევე იყვნენ ტელეკომპანიების „ფორმულა“ და „მთავარის“ ჟურნალისტები.

კინოთეატრ „ამირანთან“ 2019 წლის 8 ნოემბერს გამართული აქცია გამოირჩეოდა ულტრამემარჯვენე რადიკალური ჯგუფებისა და მათი მხარდამჭერების უპრეცედენტო მობილიზაციით. ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თავდაპირველი განცხადება აშკარად ძალადობრივი განზრახვის მქონე აქციის მონაწილეებისთვის გამოსატყვის თავისუფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით კანონმდებლობასთან შეუსაბამო იყო, უშუალოდ კინოთეატრთან სამართალდამცავებმა ადეკვატური და პროპორციული რეაგირება შეძლეს.

56 OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 2010 – page 15
 57 ვასაძე And Then We Danced-ზე: გაგნეთ პოლიციელებს, შევალთ საოპერატოროში, ვთიშავთ ფილმის ჩვენებას, ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2VWXTBI>, ასევე, ძალადობრივი ჯგუფები კინო „ამირანში“ შეჭრას ძალით ცდილობენ, <http://www.tabula.ge/ge/story/158938-dzaladobrivi-jgufebi-kinoamiranshi-shechras-dzalit-cdiloben>

პოლიციამ შეკრებაზე მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით 4 ფაქტზე დაიწყო გამოძიება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 166-ე (ხულიგნობა) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტებზე 24 პირი დააკავა.⁵⁸

კინოფილმის ჩვენების პარალელურად, ჰომოფობიური აქციები 9 და 10 ნოემბერსაც გაგრძელდა. თუმცა, ამ შემთხვევაში პროტესტმა ძირითადად მშვიდობიანად, ექსცესებისა და ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების გარეშე ჩაიარა.

ულტრამემარჯვენე ჯგუფები კინოფილმის „კომეტები“ პრემიერის წინააღმდეგ

2 დეკემბერს კინოთეატრ „ამირანთან“ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფები „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ თავჯდომარის გურამ ფალავანდიშვილის და არასამთავრობო ორგანიზაცია „ზნეობის“ წარმომადგენლის დავით ლორთქიფანიძის ორგანიზებით შეიკრიბნენ. ჰომოფობიური აქციის მიზანი იყო ლგბტ თემატიკაზე შექმნილი ფილმის „კომეტების“ პრემიერის ჩაშლა და კინოთეატრის დარბაზის პიკეტირება. მიუხედავად ამისა, აქციამ ძირითადად მშვიდად ჩაიარა. კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ანალოგიურად მშვიდ ვითარებაში ჩაიარა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მცირერიცხოვანმა აქციამ 3 და 4 დეკემბერს. დემონსტრანტები თბილისის კინოფესტივალის ფარგლებში კინოფილმების „კომეტები“ და „ღმერთი არსებობს და სახელად ჰქვია პეტრუნია“ ჩვენებას აპროტესტებდნენ. მათი განცხადებით, ფილმის ჩვენება მასონების აგრესიული პროპაგანდის ნაწილი იყო, რომელსაც დასავლეთი საქართველოს ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ იყენებს.

4.5. დემონსტრაციები ევროპის საბჭოს კვირეულთან დაკავშირებით

2019 წლის 21-22 ნოემბერს ევროპის საბჭოს ეგიდით ჩატარებული კამპანიის „მე ვირჩევ თანასწორობას“ წინააღმდეგ ულტრამემარჯვენე ჯგუფების ერთ-ერთი ლიდერის გურამ ფალავანდიშვილის ორგანიზებით, მცირერიცხოვანი აქციები გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის, ევროსაბჭოს ოფისის, განათლების სამინისტროს, ევროპული სკოლისა და ღია საზოგადოების ფონდის შენობებთან. აქციები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. დემონსტრანტები კვირეულის ფარგლებში სკოლებში და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში დაგეგმილ ღონისძიებებს აპროტესტებენ, რაც, მათი შეფასებით, ლგბტ თემის პროპაგანდას წარმოადგენდა.

58 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 9 ნოემბრის განცხადება <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/13120>

5. დაკვირვების შედეგების შეჯამება და ძირითადი ტენდენციები

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ ულტრამემარჯვენე რადიკალური იდეოლოგიის მატარებელი ჯგუფები აქტიურად ეწევიან მხარდამჭერთა რეკრუტირებას სოციალური ქსელებისა და საჯარო შეკრებების მეშვეობით.

რადიკალიზაციის ერთ-ერთ გამაძლიერებელ ფაქტორად გვევლინება საქართველოს საპატრიარქოს მხრიდან გაკეთებული არათანმიმდევრული განცხადებები და მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ნაწილის აქტიურობა ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფების შეკრებებზე. თუმცა, ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფების აქტიურობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სახელმწიფოში რადიკალიზაციის პრევენციისათვის საჭირო პროგრამების არარსებობა და სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობაა.

2019 წლის 8 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადეკვატური ზომების გატარების შედეგად ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა ვერ შეძლეს კინოთეატრებში ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ჩვენების ჩაშლა, რამაც სამომავლოდაც შეამცირა სამართალდარღვევის ფაქტები მათ შეკრებებზე. მიუხედავად ამისა, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ 2019 წლის 8 ნოემბერს რადიკალური იდეოლოგიის მატარებელი ჯგუფების უპრეცედენტო მობილიზაცია სახელმწიფოს მიერ გატარებული არასწორი პოლიტიკის შედეგი იყო. პროექტის მიმდინარეობისას დამკვირვებლებმა არაერთხელ დააფიქსირეს პოლიციის გულგრილობა ჰომოფობიური ჯგუფების მხარდამჭერთა მიერ ჩადენილ სხვადასხვა სამართალდარღვევაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2019 წლის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომ „თბილისი პრაიდის“ გუნდის მიერ დაგეგმილ ადგილებზე ლგბტ პირთა და მათ უფლება დამცველთა შეკრებაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო⁵⁹. ასევე აღსანიშნავია სახელმწიფოს მიერ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფების ლიდერების მიმართ დაწყებული გამოძიების გაჭიანურება, რამაც აღნიშნულ პირებს დიდი ოდენობით ძალების მობილიზებისა და ახალი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენის შესაძლებლობა მისცა.

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა რომ:

- ✓ სამართალდამცავი ორგანოები სათანადოდ ვერ აფასებენ ამგვარი დაჯგუფებების გამაძლიერებელ გამონვეულ საფრთხეს და ვერ ახდენენ ექსტრემისტული ორგანიზაციების მიერ ახალი წევრების რეკრუტირებისა და რადიკალიზაციის პრევენციას

59 შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება იხ. <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/12775?print=1>

- ✓ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი ჯგუფების ლიდერები მედიასთან ურთიერთობისას ცდილობენ არ გასცდნენ მშვიდობიანი გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს
- ✓ აქციებში ძირითადად მონაწილეობას იღებენ ერთიანი სტრუქტურისა და სამოქმედო გეგმის მქონე ჯგუფები, რომლის წევრებიც ატარებენ მსგავს ჩაცმულობას და გააჩნიათ ერთმანეთის ამოსაცნობი ნიშნები. შესაბამისად, სახეზეა ცალკეული ჯგუფების ერთიანი და კოორდინირებული საქმიანობა, რომელსაც ყავს ორგანიზატორები და ლიდერები
- ✓ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების ყველა ლიდერი, ასევე შეკრება-დემონსტრაციებში მონაწილე პირთა აბსოლუტური უმრავლესობა კაცია.

რეკომენდაციები

საქართველოს კარლამენტს

- სიძულვილის ენის ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში გავრცელების პრევენციის მიზნით, მოხდეს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, რომელიც ეხება კომპიუტერული სისტემების მეშვეობით რასისტული და ქსენოფობიური ხასიათის ქმედებების კრიმინალიზაციას
- გადაიხედოს საქართველოს კანონი „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ მისი თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით
- შეიქნას კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებს რასიზმის ხელშემწყობი ნებისმიერი ორგანიზაციისათვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტას, ან მათ დახურვას
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მომზადება გახდეს დასჯადი.

საქართველოს მთავრობას

- ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოების ჩართულობის მიზნით, მოხდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის №53 განკარგულებით დამტკიცებული „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგიის“ 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმის სრული ან ნაწილობრივი განსაიდუმლოება
- არ მოხდეს რადიკალური იდეოლოგიის მხარდამჭერი ორგანიზაციების ან ასეთ ორგანიზაციებთან ასოცირებული პირებისათვის სახელმწიფო დაფინანსების ან სხვა სახის მხარდაჭერის მიწოდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს

- უზრუნველყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემჭიდროვებულ ვადებში გამოძიება, რათა პროკურატურამ მოახერხოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება
- უარი თქვას ძალადობრივი ჯგუფების მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებაზე და შემჭიდროვებულ ვადებში გამოიძიოს ექსტრემისტი ჯგუფების შეკრებებსა და დემონსტრაციებზე მომხდარი დარღვევები, შესაბამისი პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით

- მოხდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავება შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურასა და სასამართლოს შორის.